

F

1. რომელი არ არის *ბევრის* სინონიმი (მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა)?

უამრავი	უთვალავი	ცოტა	ურიცხვი
---------	----------	------	---------

2. რომელი სინონიმით (მსგავსი მნიშვნელობის სიტყვით) ჩაანაცვლებთ ხაზგასმულ სიტყვას?

ნიკოს უყვარს თავისი *მოხუცი* ბებიის მოსმენა.

ხანდაზმული	ბრძენი	გამოცდილი	კეთილი
------------	--------	-----------	--------

3. რომელი არ არის *ცოტას* ანტონიმი (საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა)?

უამრავი	ურიცხვი	უთვალავი	უმნიშვნელო
---------	---------	----------	------------

4. რომელი სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში?

კაქტუსების . . . ამერიკაა.

სამშობლო	ქვეყანა	მამული	ადგილი
----------	---------	--------	--------

5. რომელია არასწორი შესიტყვება?

წიგნი დახურა	კარი დახურა	თვალი დახურა	ფანჯარა დახურა
--------------	-------------	--------------	----------------

6. *გამოცდილება* შეიძლება იყოს:

ღრმა	მაღალი	დიდი	განიერი
------	--------	------	---------

7. *ღრო* შეიძლება იყოს:

დიდი	გრძელი	ფართო	ღრმა
------	--------	-------	------

8. რა არ შეიძლება იყოს *მცირე*?

მაგიდა	ღრო	გამოცდილება	ნალექი
--------	-----	-------------	--------

9. რა არ შეიძლება იყოს *მსხვილი*?

ჯობი	მკლავი	გზა	ტოტი
------	--------	-----	------

10. გულუხვი ადამიანი:

ხელმოკლეა	ხელმომჭირნეა	ხელმარჯვეა	ხელგაშლილია
-----------	--------------	------------	-------------

11. ცნობისმოყვარეა ის:

ვისაც არაფრის ეშინია.
ვინც ადამიანებს ეხმარება.
ვინც კარგად სწავლობს.
ვისაც ყველაფერი აინტერესებს.

12. რომელი სიტყვა გამოხატავს საგნის ფერს?

მსუბუქი	რბილი	მწვანე	ლამაზი
---------	-------	--------	--------

13. რას ნიშნავს მოცემული წარწერა?

პროდუქტის შენახვის ვადა – 3 წელი

პროდუქტი შეიძლება გამოიყენოთ 3 წლის განმავლობაში.
პროდუქტი შეიძლება გამოიყენოთ 3 წლის შემდეგაც.
პროდუქტის შენახვის ვადა არ არის განსაზღვრული.
პროდუქტი სამი წლის შემდეგაც არ გაფუჭდება.

14. წაკითხეთ განცხადება:

მე-2 სამუსიკო სკოლა იწვევს გიტარაზე დაკვრის შესწავლის მსურველებს ექვსთვიან კურსებზე. გამოსაშვები გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში მსმენელები მიიღებენ სათანადო მოწმობას. სწავლა უფასოა.

ვინ შეიძლება გახდეს კურსების მსმენელი?

ვისაც მოწმობა აქვს.
ვინც სწავლის სურვილს გამოთქვამს.
ვინც თანხას გადაიხდის.
ვინც გამოცდას ჩააბარებს.

15. რა სახისაა მოცემული ტექსტი?

საინტერესო ფილმია. რეჟისორს მართლაც გამორჩეული ხედვა აქვს და მსახიობებიც კარგად თამაშობენ. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მაყურებელზე ფინალი ახდენს.

ახსნა-განმარტება
რჩევა-რეკომენდაცია
გამოხმაურება ფილმზე
პირადი განცხადება

16. რომელი ინფორმაციაა მთავარი მოცემულ ტექსტში?

ცნობილია, რომ ზღვის გაყინვის ტემპერატურა დამოკიდებულია მის მარილიანობაზე. რაც უფრო მეტია ზღვის წყლის მარილიანობა, მით უფრო დაბალია მისი გაყინვის ტემპერატურა. როდესაც ზღვის წყალი იყინება, მასში ჯერ ნემსივით წვრილი კრისტალები ჩნდება, ხოლო შემდეგ ზედაპირი მთლიანად იყინება.

ზღვის ზედაპირი მთლიანად სწრაფად იყინება.
ზღვის წყალი დაბალ ტემპერატურაზე იყინება.
ზღვის გაყინვის ტემპერატურა დამოკიდებულია მის მარილიანობაზე.
ზღვის წყალში ნემსივით წვრილი კრისტალები ჩნდება.

17. რის შესახებ იძლევა ინფორმაციას მოცემული ტექსტი?

ნოდარ დუმბაძემ პირველი ლექსები ალმანახ «პირველ სხივში» გამოაქვეყნა 1950 წელს. მწერლის პირველი რომანი კი «მე, ბებია, ილიკო და ილარიონი» 1960 წელს გამოვიდა. ეს ნაწარმოები ავტორმა და რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ შემდგომში პიესად გადააკეთეს.

მწერლის შემოქმედების მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ.
მწერლის პირველი ლექსების ძირითადი თემატიკის შესახებ.
მწერლის პირველი რომანის მთავარი სათქმელის შესახებ.
მწერლისა და გიგა ლორთქიფანიძის მეგობრობის შესახებ.

18. რომელი წინადადება შეესაბამება მოცემული ტექსტის შინაარსს?

რობოტი არის მანქანა, რომელსაც სპეციალური პროგრამის მიხედვით შეუძლია სხვადასხვა ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება. იგი შეიცავს ხელოვნური ინტელექტის ელემენტებს. იაპონიაში უკვე გამოუშვეს რობოტი, რომელიც ძალიან ჰგავს ადამიანს.

რობოტი არის მანქანა, რომელიც ადამიანს არაფრით არ ჰგავს.
რობოტი სპეციალურ პროგრამას დამოუკიდებლად ამუშავებს.
რობოტი ხელოვნური ინტელექტით ნებისმიერ ამოცანას ასრულებს.
რობოტი სპეციალური პროგრამის მიხედვით ამოცანებს ასრულებს.

19. რომელი წინადადება შეესაბამება მოცემული ტექსტის შინაარსს?

დედამიწაზე ამჟამად ცნობილია დაახლოებით 3000-მდე ენა. მათი რიცხვის ზუსტად დასახელება მეცნიერებს არ შეუძლიათ, რადგან ყველა მათგანი დღემდე შესწავლილი არ არის. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ენაა ფართოდ გავრცელებული. მათ შორის პირველ ადგილზეა ჩინური.

დადგენილია არსებული ენების ზუსტი რაოდენობა.
დღეს ყველა ენა მეცნიერულად შესწავლილია.
ყველაზე მეტი ადამიანი ჩინურ ენაზე ლაპარაკობს.
ყველა ენას გავრცელების ფართო არეალი აქვს.

20. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეესაბამება მოცემული წინადადების შინაარსს?

კანონმა, რომელიც მთავრობამ მიიღო, ბევრი რამ შეცვალა.

მთავრობის მიერ მიღებულმა კანონმა ბევრი რამ შეცვალა.
მთავრობამ კანონი მიიღო და ამან ბევრი რამ შეცვალა.
კანონის მისაღებად მთავრობამ ბევრი რამ შეცვალა.
მთავრობის მიერ მიღებულ კანონს ბევრი ცვლილება მოჰყვა.

21. ჩამოთვლილთაგან რომელი სათაური შეესაბამება მოცემული ტექსტის შინაარსს?

«სიქსტის კაპელის» მოხატვას მიქელანჯელომ ოთხი წელი მოანდომა. ამ ხნის განმავლობაში ხარაჩოებზე «ცხოვრობდა»: იქ ჭამდა, წერდა, მსჯელობდა მოსწავლეებთან. მომქანცველ შრომაში ჩაფლული, მოწყვეტილი იყო ყველაფერს. მას არც კი აინტერესებდა, თუ რა ხდებოდა კედლების მიღმა. იქ კი ჩვეულებრივი დინებით მიდიოდა ცხოვრება.

ცხოვრების დინება
თავდავიწყების ოთხი წელი
ცხოვრება კედლების მიღმა
მხატვარი და მოსწავლეები

22. რომელ სიტყვას დაესმის კითხვა რა?

ბიძაშვილი	კატა	მკერავი	ფოტოგრაფი
-----------	------	---------	-----------

23. მიცემითი ბრუნვის რომელი ფორმაა არასწორი?

თბილის	მცხეთას	ბოლნისს	მანგლისს
--------	---------	---------	----------

24. მრავლობითი რიცხვის რომელი ფორმაა არასწორი?

ხეები	კლდები	თმები	საქმეები
-------	--------	-------	----------

25. რომელი სიტყვის ფორმაა არასწორი?

ბალახები	მეგობარები	ქვეყნები	ღრუბლები
----------	------------	----------	----------

26. რომელ წინადადებაშია საკუთარი სახელი გამოყენებული არასწორი ფორმით?

თამარმა თავი გამოიჩინა.
თამაზიმ ყველას აჯობა.
ვახტანგმა დამიძახა.
გიორგიმ სურათი დახატა.

27. რომელია სწორი?

ცოლშვილი	ორ სერიიანი	ფეხ საცმელი	ხუთადგილიანი
----------	-------------	-------------	--------------

28. რომელია არასწორი?

ას სამოცი	მრავალსართულიანი	ოროთახიანი	ორმოცდა ერთი
-----------	------------------	------------	--------------

29. რომელია სწორი?

მე-54	15-ე	მე-54-ე	მე-60
-------	------	---------	-------

30. რომელ სიტყვას დაესმის კითხვა სადაური?

აქაური	მშობლიური	ძლიერი	ჭკვიანური
--------	-----------	--------	-----------

31. რომელ სიტყვას გამოიყენებთ წინადადებაში?

გუშინ . . . რიგში ვიჯექი.

თერთმეტი	მეორე	ორმოცი	სამოცი
----------	-------	--------	--------

32. რომელი ნაცვალსახელით შეცვლით ხაზგასმულ სიტყვას წინადადებაში?

ბიჭებმა თამაში დაიწყეს.

თავიანთმა	მათ	მათმა	ისინი
-----------	-----	-------	-------

33. რომელი სიტყვაა გამოტოვებული მოცემულ წინადადებაში?

ნიკო თავის . . . სწრაფი ნაბიჯით შევიდა.

ოთახამდე	ოთახთან	ოთახში	ოთახიდან
----------	---------	--------	----------

34. რომელ ზმნას დაესმის კითხვა – რას აკეთებთ?

უყურებენ	უყურებდი	უყურებთ	უყურებდა
----------	----------	---------	----------

35. რომელ ზმნას დაესმის კითხვა – რას აკეთებდი?

დაბრუნდი	დაბრუნდეთ	დაბრუნდება	ბრუნდებოდი
----------	-----------	------------	------------

36. რომელი ზმნაა გამოტოვებული?

ჩვენ სიამოვნებით . . . სათავგადასავლო ლიტერატურას.

ვკითხულობ	ვკითხულობთ	კითხულობ	კითხულობთ
-----------	------------	----------	-----------

37. ზმნის I პირის რომელი ფორმაა არასწორი?

მე უთხარი	მე ვიჯერებ	მე მძინავს	მე ავანთე
-----------	------------	------------	-----------

38. რომელი ზმნა აღნიშნავს II პირს?

აიღე	შეინახოს	წავიდეთ	ვურჩიო
------	----------	---------	--------

39. ზმნის III პირის რომელი ფორმაა არასწორი?

დგას	სჩანს	სძინავს	აქვს
------	-------	---------	------

40. ზმნის რომელი ფორმა აღნიშნავს III პირს?

მსურს	გსურთ	სურს	გვსურს
-------	-------	------	--------

41. ზმნის III პირის რომელი ფორმაა არასწორი?

ჰყიდის	ჰკითხა	ჰქვია	ჰქონდა
--------	--------	-------	--------

42. რომელი შესიტყვებაა არასწორი?

მიაქვს ბურთი	მიაქვს ჩანთა	მიაქვს ძალი	მიაქვს წიგნი
--------------	--------------	-------------	--------------

43. ზმნის რომელი ფორმაა არასწორი?

ჩვენ ვავსებთ	ჩვენ ვამზადებთ	ჩვენ ვუვლით	ჩვენ უყურებთ
--------------	----------------	-------------	--------------

44. რომელი ზმნა გამოტოვებული წინადადებაში?

მან ბეზიას დაბადების დღე . . .

მიულოცავს	ულოცავს	მიულოცავს	მიულოცა
-----------	---------	-----------	---------

45. ხაზგასმული სიტყვებიდან რომელი არ არის გამოყენებული შესაბამისი ბრუნვის ფორმით?

<i>ის</i> კარგად სწავლობს.
<i>ის</i> გვიან გაიღვიძა.
<i>მან</i> იცის გაკვეთილი.
<i>მან</i> კარგად დაუკრა.

46. ხაზგასმული სიტყვებიდან რომელი არ არის გამოყენებული შესაბამისი ბრუნვის ფორმით?

<i>ქალმა</i> მეგობარს დაურეკა.
<i>მოხუცმა</i> მარტო დარჩა.
<i>ბავშვმა</i> კარგად იმეცადინა.
<i>სპორტსმენმა</i> ადვილად გაიმარჯვა.

47. რომელ წინადადებაშია ხაზგასმული სიტყვა გამოყენებული არასწორი ფორმით?

ეზოში ხეები <i>დგანან</i> .
ოთახში სკამები <i>დგას</i> .
ბავშვები ფეხზე <i>დგანან</i> .
ორი ადამიანი <i>დგას</i> .

48. რომელ წინადადებაშია ხაზგასმული სიტყვა გამოყენებული არასწორი ფორმით?

ბიჭები <i>კითხულობენ</i> .
რამდენიმე ბიჭი <i>კითხულობს</i> .
ორი ბიჭი <i>კითხულობენ</i> .
ბიჭი <i>კითხულობს</i> .

49. რომელ წინადადებაშია ხაზგასმული სიტყვის რიცხვის ფორმა არასწორი?

ბებია და ბაბუა მოხუცები <i>არია</i> .

და უფროსი არის, ძმა – უმცროსი.
ნელი და ნიკო ბიძაშვილებია.
სკოლა და ბაღი გარემონტებულია.

50. რომელ წინადადებას აკლავს მძიმე?

ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი ჩემი ნათესავია.
ხომ ვერ მეტყვი რომელ საათზე იწყება ფილმი?
გუშინ შენი ძმის დაბადების დღე იყო?
გოგონებმა თანაკლასელს სახლში მიაკითხეს.